საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/283 "30" ივლისი 2016 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წერილობით მიმართეს თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებმა და საჭიროებიდან გამომდინარე მოითხოვეს სასამართლოს შენობებში სწრაფი გადახდის აპარატების განთავსება. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭიროა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის ფართისა (4 კვ. მ.) და ბათუმის საქალაქო სასამართლოს შენობის ფართის (2 კვ. მ.) სარგებლობაში გადაცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით, აუქციონის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის სარგებლობაში არსებული თბილისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების შენობების ზემოაღნიშნული ფართების სარგებლობაში გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი